საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-321

18/05/2023

ქ. თბილისი

„დუშეთის მუნიციპალიტეტში, შპს „მენესო ჰესის“ მდინარე არაგვზე 7,4 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მენესო ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N2-387 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დუშეთის მუნიციპალიტეტში, შპს „მენესო ჰესის“ მდინარე არაგვზე 7,4 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მენესო ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N2-387 ბრძანება.

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „მენესო ჰესს“.

3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მენესო ჰესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

4. ბრძანების გაცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი